ოქმი №10

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 24 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა 11:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ი. კალანდარიშვილი, შ. კოკაია, ი. ცხვიტავა, გ. წურწუმია, კ. ტორჩინავა, ნ.შამათავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატესტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მ. გვასალია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია,,სენაკი საქართველოს " თავმჯდომარე - ი. კაჭარავა

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა N 235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მ. გვასალია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე –7; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. . მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა N 235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა N 235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -7, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. განკარგულების პროექტი - ,, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა N 235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ .წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მ. გვასალია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი ხურცია